პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურა და ხელოვნება

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ყოველკვირეული ორგანო

№ 29 (82), ხუთშაბათი, 6 სექტემბერი, 1945 წ. ფასი 1 მან.

**დადგა დიდი ხნის ნანატრი მშვიდობიანობა მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის.**

**ი. სტალინი.**



## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
### უმაღლესი მთავარსარდლისა
### წითელი არმიის ჯარებისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტისადმი

1945 წლის 2 სექტემბერს ტოკიოში იაპონიის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს აქტს იაპონიის შეიარაღებული ძალების უსიტყვო კაპიტულაციის შესახებ.

საბჭოთა ხალხისა და ჩვენი მოკავშირეების ერთობლივი ომი უკანასკნელი აგრესორის—იაპონიის იმპერიალიზმის—წინააღმდეგ ძლევამოსილად დამთავრდა, იაპონია განადგურებულია და კაპიტულაცია გამოაცხადა.

ამხანაგო წითელარმიელებო, წითელფლოტელებო, სერჟანტებო, ზემდეგებო, არმიისა და ფლოტის ოფიცრებო, გენერლებო, ადმირალებო და მარშლებო, გილოცავთ იაპონიის წინააღმდეგ ომის ძლევამოსილად დამთავრებას.

იაპონიაზე გამარჯვების აღსანიშნავად, დღეს, 3 სექტემბერს, იაპონიაზე გამარჯვების დღესასწაულის დღეს, 21 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სამშობლოს სახელით სამას ოცდაოთხი ქვემეხის ოცდაოთხი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს წითელი არმიის მამაც ჯარებს, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხომალდებსა და ნაწილებს, რომლებმაც ეს გამარჯვება მოიპოვეს.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს ღირსებისა და გამარჯვებისათვის ბრძოლებში!

ცოცხლობდეს და დღეგრძელობდეს ჩვენი წითელი არმია და ჩვენი სამხედრო-საზღვაო ფლოტი!

**უმაღლესი მთავარსარდალი**
**საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსი ი. სტალინი**

1945 წლის 3 სექტემბერი. № 373

## გ ა მ ა რ ჯ ვ ე ბ ი ს ზ ე ი მ ი

ოთხ სექტემბერს მწერალთა კლუბში შეიკრიბნენ მწერლები და მწერალთა კავშირის მუშა-მოსამსახურეები. ყველას სიხარულის გრძნობა დაუფლებია, სახეგაბრწყინებულნი ერთმანეთს ხვდებიან და გამარჯვების დღეს ულოცავენ, ულოცავენ მსოფლიო აგრესიის მეორე კერის განადგურებას, მეორე მსოფლიო ომის დამთავრებას, დიდი ხნის ნანატრი მშვიდობიანობის დადგომას მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის.

სრულ სამ საათზე მწერალთა პარტორგანიზაციის მდივანი დ. ბენაშვილი ხსნის კრებას. კრებაზე მწერალი დემნა შენგელაია კითხულობს ამხანაგ **სტალინის** მიმართვას ხალხისადმი. მიმართვას უდიდესი გულისხმიერებით ისმენენ. როდესაც დემნა შენგელაია კითხულობს ამხანაგ **სტალინის** სიტყვებს: „მოგილოცავთ, ჩემო ძვირფასო თანამემამულენო, დიდ გამარჯვებას, ომის წარმატებით დამთავრებას, მთელ მსოფლიოში მშვიდობიანობის დადგომას!" — დარბაზში გაისმის მხურვალე ტაში. ყველა ფეხზე დგება დიდი ბელადისა და მხედართმთავრის ამხანაგ **სტალინის** პატივსაცემად.

მიმართვის უკანასკნელ სიტყვებს „გამარჯვება და აყვავება ჩვენს სამშობლოს!" კვლავ ხანგრძლივი ოვაცია მოსდევს.

მიმართვის წაკითხვის შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ მწერლები ს. შანშიაშვილი, ს. თავაძე, ალ. ჭეიშვილი, ი. იმედაშვილი, ს. ავჩიანი, ი. ლისაშვილი.

კრებაზე გამოსული ორატორები აღნიშნავდნენ, რომ მთელ ხალხთან ერთად, საბჭოთა მწერლობაც მთელი თავისი შემოქმედებითი ენერგიით იბრძოდა ლენინ-სტალინის პარტიის დიადი საქმისათვის. მეორე მსოფლიო ომის დამთავრება, რომელიც მოგვილოცა ამხანაგმა **სტალინმა**, დიდი სასიხარულო მოვლენაა და ჩვენი ხალხის ისტორიაში ეს დღე დაუვიწყარ დღედ დარჩება.

ომი დამთავრებულია. დადგა ნანატრი მშვიდობიანობა. მაგრამ ახლა საბჭოთა მწერლობის წინაშე, ისევე, როგორც მთელი ჩვენი ხალხის წინაშე, ახალი, უფრო დიდი ამოცანები ისახება. საბჭოთა მწერლობამ კიდევ უფრო უნდა დაძაბოს თავისი შემოქმედებითი ენერგია სამშობლოს შემდგომი აყვავების, მისი ძლევამოსილების განმტკიცების ინტერესებისათვის. საბჭოთა მწერლობამ უნდა შექმნას სტალინური ეპოქის შესაფერი, დიდი ისტორიული მოვლენების ამსახველი მაღალმხატვრული ნაწარმოებნი.

დიდი სტალინის გენიით შთაგონებული საბჭოთა მწერლობა ღირსეულად უმღერებს იმ ისტორიულ გამარჯვებებს, რომელნიც მოიპოვა საბჭოთა ხალხმა ბრძენი ბელადისა და უდიდესი მხედართმთავრის ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით.

კრების დასასრულს პოეტმა ი. მჭედლიშვილმა წაიკითხა ლექსი „ბელადს!"

## ამხანაგ ი. ბ. სტალინის მიმართვა ხალხისადმი

ამხანაგებო!

თანამემამულენო!

დღეს, 2 სექტემბერს, იაპონიის სახელმწიფო და სამხედრო წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს უსიტყვო კაპიტულაციის აქტს. ზღვებსა და ხმელეთზე სასტიკად დამარცხებულმა და გაერთიანებული ერების შეიარაღებული ძალებით ყოველი მხრიდან გარშემორტყმულმა იაპონიამ თავი დამარცხებულად სცნო და იარაღი დაჰყარა.

მსოფლიო ფაშიზმისა და მსოფლიო აგრესიის ორი კერა შეიქმნა ახლანდელი მსოფლიო ომის წინ: გერმანია—დასავლეთში და იაპონია—აღმოსავლეთში. ისინი იყვნენ, მეორე მსოფლიო ომი რომ გააჩაღეს. ისინი იყვნენ, კაცობრიობა და მისი ცივილიზაცია დაღუპვის პირას რომ მიიყვანეს. მსოფლიო აგრესიის კერა დასავლეთში ლიკვიდირებულ იქნა ოთხი თვის წინათ, რის შედეგადაც გერმანია იძულებული აღმოჩნდა კაპიტულაცია მოეხდინა. აქედან ოთხი თვის შემდეგ ლიკვიდირებულ იქნა მსოფლიო აგრესიის კერა აღმოსავლეთში, რის შედეგადაც იაპონია, გერმანიის მთავარი მოკავშირე, აგრეთვე იძულებული აღმოჩნდა ხელი მოეწერა კაპიტულაციის აქტისათვის.

ეს იმას ნიშნავს, რომ მეორე მსოფლიო ომი დამთავრდა.

ახლა ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთელ მსოფლიოში მშვიდობიანობისათვის საჭირო პირობები უკვე მოპოვებულია.

უნდა აღინიშნოს, რომ იაპონელმა დამპყრობლებმა ზიანი მიაყენეს არა მარტო ჩვენს მოკავშირეებს—ჩინეთს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთს. მათ უაღრესად სერიოზული ზიანი მიაყენეს ჩვენს ქვეყანასაც. ამიტომ ჩვენ კიდევ განსაკუთრებული ანგარიში გვაქვს იაპონიის მიმართ.

თავისი აგრესია ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ, იაპონიამ დაიწყო ჯერ კიდევ 1904 წელს რუსეთ-იაპონიის ომის დროს. როგორც ცნობილია, 1904 წლის თებერვალში, როცა მოლაპარაკება იაპონიასა და რუსეთს შორის ჯერ კიდევ გრძელდებოდა, იაპონია, რომელმაც ისარგებლა მეფის მთავრობის სისუსტით, მოულოდნელად და ვერაგულად, ომის გამოუცხადებლად,—დაესხა თავს ჩვენს ქვეყანას და იერიში მიიტანა რუსეთის ესკადრაზე პორტ-არტურის რაიონში, რათა მწყობრიდან გამოეყვანა რუსეთის რამდენიმე სამხედრო ხომალდი და ამით ხელსაყრელი მდგომარეობა შეექმნა თავისი ფლოტისათვის. და მან მართლაც გამოიყვანა მწყობრიდან რუსეთის სამი პირველხარისხოვანი სამხედრო ხომალდი. დამახასიათებელია, რომ აქედან 37 წლის შემდეგ იაპონიამ ზუსტად გაიმეორა ეს ვერაგული ხერხი ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ, როცა 1941 წელს თავს დაესხა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ბაზას პირლ-ჰარბორში და მწყობრიდან გამოიყვანა ამ სახელმწიფოს რამდენიმე სახაზო გემი. როგორც ცნობილია, იაპონიასთან ომში რუსეთმა მაშინ დამარცხება განიცადა. იაპონიამ კი ისარგებლა მეფის რუსეთის დამარცხებით იმისათვის, რომ ჩამოეგლიჯა რუსეთისაგან სამხრეთი სახალინი, დამკვიდრებულიყო კურილის კუნძულებზე და, ამრიგად, ჩვენი ქვეყნისათვის მაგრად ჩაეკეტა აღმოსავლეთში ყველა გასასვლელი ოკეანისაკენ—მაშასადამე, ასევე ყველა გასასვლელი საბჭოთა კამჩატკის და საბჭოთა ჩუკოტკის ნავსადგურებისაკენ. ცხადი იყო, რომ იაპონია ამოცანად ისახავდა ჩამოეგლიჯა რუსეთისათვის მთელი მისი შორეული აღმოსავლეთი.

მაგრამ ამით როდი ამოიწურება იაპონიის დამპყრობლური მოქმედება ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. 1918 წელს, ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ, იაპონიამ ისარგებლა მაშინ ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების მტრული დამოკიდებულებით საბჭოთა ქვეყნისადმი და, მათზე დაყრდნობით,—კვლავ დაესხა თავს ჩვენს ქვეყანას, მოახდინა შორეული აღმოსავლეთის ოკუპაცია და ოთხი წლის განმავლობაში სტანჯავდა ჩვენს ხალხს, ძარცვავდა საბჭოთა შორეულ აღმოსავლეთს.

მაგრამ ესეც როდია ყველაფერი. 1938 წელს იაპონია კვლავ დაესხა თავს ჩვენს ქვეყანას ხასანის ტბის რაიონში, ვლადივოსტოკის ახლოს, იმ მიზნით, რომ გარს შემორტყმოდა ვლადივოსტოკს, ხოლო შემდეგ წელს იაპონიამ გაიმეორა თავისი თავდასხმა უკვე სხვა ადგილას, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის რაიონში, ხალხინ-გოლთან იმ მიზნით, რომ შემოჭრილიყო საბჭოთა ტერიტორიაზე, გადაეჭრა ჩვენი ციმბირის რკინიგზის მაგისტრალი და მოეწყვიტა რუსეთისათვის შორეული აღმოსავლეთი.

მართალია, იაპონიის იერიშები ხასანისა და ხალხინ-გოლის რაიონში ლიკვიდირებულ იქნა საბჭოთა ჯარების მიერ იაპონელებისათვის დიდად სამარცხვინოდ. ასევე წარმატებით ლიკვიდირებულ იქნა იაპონიის სამხედრო ინტერვენცია 1918-22 წლებში, და იაპონელი ოკუპანტები განდევნილ იქნენ ჩვენი შორეული აღმოსავლეთის რაიონებიდან. მაგრამ 1904 წელს რუსეთ-იაპონიის ომის პერიოდში რუსეთის ჯარების დამარცხებამ მძიმე მოგონებანი დასტოვა ხალხის შეგნებაში. ეს დამარცხება შავ ლაქად დააჩნდა ჩვენს ქვეყანას. ჩვენს ხალხს სწამდა და მოელოდა, რომ დადგებოდა დღე, როცა იაპონია დამარცხდებოდა და ლაქა წარხოცილ იქნებოდა. ორმოც წელიწადს ველოდით ჩვენ, ძველი თაობის ადამიანები, ამ დღეს. და აი, ეს დღე დადგა. დღეს იაპონიამ დამარცხებულად სცნო თავი და ხელი მოაწერა უსიტყვო კაპიტულაციის აქტს.

ეს იმას ნიშნავს, რომ სამხრეთი სახალინი და კურილის კუნძულები საბჭოთა კავშირის ხელში გადმოვლენ და ამიერიდან ისინი ოკეანისაგან საბჭოთა კავშირის მოწყვეტის საშუალება და ჩვენს შორეულ აღმოსავლეთზე იაპონიის თავდასხმის ბაზა კი აღარ იქნებიან, არამედ ოკეანესთან საბჭოთა კავშირის პირდაპირი კავშირის საშუალება და იაპონიის აგრესიისაგან ჩვენი ქვეყნის თავდაცვის ბაზა.

ჩვენი საბჭოთა ხალხი ძალებსა და შრომას არ იშურებდა გამარჯვებისათვის. ჩვენ მძიმე წლები გადავიტანეთ. ახლა თვითეულ ჩვენგანს შეუძლია სთქვას: ჩვენ გავიმარჯვეთ. ამიერიდან ჩვენ შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ჩვენი სამშობლო გადარჩენილია გერმანელთა შემოსევის საფრთხეს დასავლეთში და იაპონელთა შემოსევის საფრთხეს აღმოსავლეთში. დადგა დიდი ხნის ნანატრი მშვიდობიანობა მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის.

მოგილოცავთ, ჩემო ძვირფასო თანამემამულენო, დიდ გამარჯვებას, ომის წარმატებით დამთავრებას, მთელ მსოფლიოში მშვიდობიანობის დადგომას!

დიდება საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ჩინეთისა და დიდი ბრიტანეთის შეიარაღებულ ძალებს, რომლებმაც მოიპოვეს გამარჯვება იაპონიაზე!

დიდება ჩვენს შორეულ აღმოსავლეთის ჯარებსა და წყნარი ოკეანის სამხედრო-საზღვაო ფლოტს, რომლებმაც დაიცვეს ჩვენი სამშობლოს სახელი და ღირსება!

დიდება ჩვენს დიდ ხალხს, გამარჯვებულ ხალხს!

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ბრძოლებში ჩვენი სამშობლოს ღირსებისა და გამარჯვებისათვის!

გამარჯვება და აყვავება ჩვენს სამშობლოს!

**სოლომონ თავაძე**

# ლავრენტი ბერიას

საქართველო ფერების ზღვაა უზარმაზარი,
მუდამ პირმოცინარე მზის ცხოველი ალითა,
მაგრამ ჩვენში არ არის არც ნერგი, არც ვაზნარი,
რომ ზედ არა ბრწყინავდეს მადლი შენი თვალისა.

დილით, როცა თხემებზე ღვივის ოქროს ზოლები
და გარემო ირთვება ლაჟვარდისფერ ხალათით,—
რუსთაველის გამზირზე ჭადრების ხშირ ფოთლებით
შენს სახელს შეშრიალებს ჩვენი დედაქალაქი.

ახალ ეშხით ჰყვავიან ოდიში და გურია
და ბიბინებს ზღვისპირი განთიადის ლაწვივით...
მწვერვალებზე სადაც კი ქართველთ ნაფეხურია,
შენ გიგალობს დიდებას ვაჟას მთების არწივი.

შენ მარადის აქა ხარ, ქართლის უკვდავ კერასთან,
მხრებში გიდგას ფრთებივით მისი წმინდა ნათელი.
ყველგანა ხარ, შეზრდილი მშობლის გულის ძგერასთან,
მთესველი და მებაღე, მშენებელი, მმართველი.

როცა მეხთა ჭექაში მთებმა დაიგუგუნეს,
აბობოქრდნენ ტალღები მტრის მრისხანე ძალისა,
შენ, სტალინის მარჯვენავ, მყის ეკვეთე უკუნეთს,
მთიდან მთებზე იელვა ხმალმა გორგასალისამ.

მტერი გატყდა, დაემხო... გაცისკროვნდნენ ქედები,
ჩვენი კავკასიონი კვლავ დიდებით კაშკაშებს.
უმღერიან ტრფიალით ბავშვები და დედები
შენი სხივით შემოსილ ომგადახდილ ვაჟკაცებს.

საქართველო ფერების ზღვაა უზარმაზარი,
მარად პირმოცინარე მზის ცხოველი ალითა,
მაგრამ ჩვენში არ არის არც ნერგი, არც ვაზნარი,
რომ ზედ არა ბრწყინავდეს მადლი შენი თვალისა.

## ლ. პ. ბერიას წიგნისადმი მიძღვნილი საღამო მწერალთა კავშირში

ორშაბათს, 27 აგვისტოს, მწერალთა კავშირის კლუბში შესდგა ამხანაგ **ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას** წიგნის— „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“-ადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა სიმონ ჩიქოვანმა.

— ამხანაგ ბერიას წიგნმა, — აღნიშნა მან, — უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ქართული ლიტერატურის აღმავლობაზე; ს. ჩიქოვანი კონკრეტულად ეხება იმ პროზაულ და პოეტურ ნაწარმოებებს, რომლებიც შეიქმნა ამხანაგ ლავრენტი ბერიას წიგნის შთაგონებით. იგი ასახელებს კ. გამსახურდიას რომანს „ბელადს“, ლ. ქიაჩელის მოთხრობებს რევოლუციურ წარსულზე, ი. ლისაშვილის რომანს „კეცხოველს“, დ. შენგელაიას „ყრმობას“, დ. სულიაშვილის ნაწარმოებებს, დ. კასრაძის „პატარა სოსოს“ და რ. ქორქიას მოთხრობებს. იგი ახასიათებს შალვა დადიანის ისტორიულ-რევოლუციურ პიესას „ნაპერწკალიდან“, როგორც ჩვენი დრამატურგიის უმნიშვნელოვანეს მოვლენას. ამასთან მან განიხილა პოეტური ნაწარმოებები, რომელნიც ეხებიან ბოლშევიზმის გმირულ ისტორიას. ამ ციკლში იგი იხსენებს გ. ლეონიძის ცნობილ ეპოპეას „სტალინს“, ი. გრიშაშვილის და ა. აბაშელის ლექსებს, ალიო მაშაშვილის „დაბადებას“, გრ. აბაშიძის პოემას „შავი ქალაქის გაზაფხულს“, ირ. აბაშიძის „წულუკიძის სიკვდილს“, ალ. გომიაშვილის ბალადას „უკანასკნელი დღე კეცხოველისა“ და სხვა.

მოხსენებით თემაზე — „ამხანაგ ლავრენტი ბერიას წიგნი და ქართული საბჭოთა ლიტერატურა“ გამოვიდა ამხ. ბესარიონ ჟღენტი; მომხსენებელმა ვრცლად განიხილა ის დიდი შემოქმედებითი ძვრები, რომელნიც გამოიწვია ქართულ ლიტერატურაში ამხანაგ ლავრენტი ბერიას ისტორიული მნიშვნელობის ნაშრომმა.

— ძნელია უბრალო ჩამოთვლაც კი, — ამბობს მომხსენებელი, — ყველა იმ პოეტური თუ ბელეტრისტული ნაწარმოებისა, რომელიც დაიწერა ამხანაგ ბერიას წიგნის შთაგონებით. ამ თემაზე დაწერილ ნაწარმოებებს ჰქონდათ დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა და ამავე დროს მთელი ეს მუშაობა იქცა ქართულ მწერლობაში რეალიზმის პრინციპების სკოლად, მასში მოწინავე იდეურობის განმამტკიცებლად.

სიტყვებით გამოვიდნენ მწერლები: ლ. ქიაჩელი, კ. გამსახურდია, გ. ლეონიძე, დ. კასრაძე, რ. ქორქია.

საღამოს მხატვრულ განყოფილებაში თავისი ნაწარმოებები წაიკითხეს ალ. აბაშელმა, ი. ლისაშვილმა, გრ. აბაშიძემ, ს. იულმა, გ. ლეონიძემ და ი. გრიშაშვილმა.

## ონდრა ლისოგორსკი

ამ ჟამად თბილისში იმყოფება ჩეხოსლოვაკელი პოეტი ონდრა ლისოგორსკი. ეს სახელი საკმაოდ ცნობილია საბჭოთა მკითხველისათვის. 1941 წლის აგვისტოში სლავთა პირველ მიტინგზე მოსკოვში ენერგიულად და ხმამაღლა გაისმა მისი სიტყვა. ეს მგზნებარე სიტყვა ონდრა ლისოგორსკიმ წარმოსთქვა ლიახურ ენაზე, — მანამდე ნაკლებად ცნობილ სლავურ ენაზე.

კულტურული და პოლიტიკური დამონების თავიდან ასაცილებლად ლიახური ენა ბასრ იარაღს წარმოადგენდა. ეს ენა უთარგმნელად ადვილად გასაგებია სამი ·მოძმე ერისათვის — ჩეხებისა, სლოვაკელებისა და პოლონელებისათვის. ლიახურ ენაზე დაწერილ წიგნს თავისუფლად კითხულობს ამ სამივე ერის შვილი, აქედან თავისთავად ცხადი და გასაგებია საზოგადოებრივ-პოლიტიკური როლი ონდრა ლისოგორსკისა, რომელმაც პირველად დაიწყო ამ ენაზე წერა და თავის გარშემო დარაზმა მწერალი ახალგაზრდობა, მოუწოდა მას თემების, იდეების წყაროდ გადაექციათ მდიდარი ლიახური ფოლკლორი.

ონდრა ლისოგორსკი დაიბადა 1905 წელს, მაღაროელის ოჯახში; თაობიდან თაობამდე მისი წინაპრები მიწას ღრღნიდნენ — პოეტის პაპის პაპა ამ კუთხის ერთ-ერთი პირველი მაღაროელი იყო, ლისოგორსკის ოჯახში 9 და-ძმა იზრდებოდა. მიუხედავად ხელმოკლეობისა და მწვავე გაჭირვებისა, მომავალმა პოეტმა წარმატებით დაამთავრა ჯერ გიმნაზია, შემდეგ პრაგის უნივერსიტეტი, საფუძვლიანად შეისწავლა ფილოსოფია, ლიტერატურისა და ხელოვნების ისტორია. ლისოგორსკი ნამყოფია საფრანგეთში, სადაც ის სორბონის უნივერსიტეტში სწავლობდა, იტალიაში, იუგოსლავიასა, უნგრეთსა, გერმანიასა, ავსტრიასა და პოლონეთში.

1939 წლიდან პოეტი ცხოვრობს და მუშაობს მოსკოვში. ამ ხნის მანძილზე მან რამოდენიმე ნაწარმოები დასწერა, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია სამხედრო ლექსების კრებული, ლირიკული ლექსები „მზისა და მიწის სიმღერების“ სახელწოდებით და დიდი პოემა „სიმღერა დედაზე“.

ლისოგორსკის პოეზიაში მთავარი ის არის, რომ მას მომადლებული აქვს უნარი მკვეთრი ნაციონალური ფორმა მისცეს თანამედროვე მოწინავე ადამიანის აზრებსა და ემოციებს. მისი პოეზიის ინტერნაციონალურ შინაარსს, უწინარეს ყოვლისა, სოციალური თემა განსაზღვრავს. ლისოგორსკის უყვარს თავისი თანამემამულეები—ოსტრაველი მემაღაროელები და ბესკიდელი გლეხები. მას უყვარს ისინი მშრომელი ადამიანის სიყვარულით. ომამდე და ომის დროს დაწერილ ბევრ თავის ლექსში პოეტი ხედავს აღმოსავლეთიდან ამომავალ გარიჟრაჟს. ის ძლიერი ხმით უმღერის ახალი თავისუფალი დღის გათენებას. ლისოგორსკი პოეტის მოწოდებათ სთვლის ბრძოლას ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის.

— არ შეიძლება სდუმდე, პოეტო, — აღმოხდა გულიდან მგოსანს იმ დღესვე, როცა აშკარა გახდა ჰიტლერული გერმანიის სისხლიანი მისწრაფება მთელი მსოფლიოს დამონებისა. და ლისოგორსკიმ შექმნა უმძაფრესი რისხვის გამომხატველი ლექსები, მიმართული გერმანული ფაშიზმის წინააღმდეგ, მრავალსაუკუნოვანი ევროპიული კულტურის და ცივილიზაციის დამანგრეველთა წინააღმდეგ. ამ პოეტური რისხვის მწვერვალს წარმოადგენს პოემა „სიმღერა დედაზე“, სადაც გამჭოლავი სიმბოლიური ფორმით მოცემულია ჰიტლერის მიერ დარბეული, მაგრამ ქედმოუხრელი ევროპის პანორამული სურათი. პოეტი ქმნის დედის დიად სახეს, — კულტურის მოსისხლე მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში გაერთიანებული მოწინავე კაცობრიობის სიმბოლოს.

რუსულ ენაზე გამოცემულია ლისოგორსკის ლექსების ოთხი კრებული. უახლოეს ხანში მისი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები თარგმნილი იქნება ქართულ ენაზე.

**ანდრო ლომიძე**

## ქ ვ ე ბ ი

ძველი ხომალდი „ჭოროხი“ ფოთის ნავსადგურში მუხის მორებით იტვირთებოდა.

ოქტომბრის მზიანი დღე ილეოდა.

ქიმზე ჩამომსხდარი ფერმკრთალი, ვერცხლისფერ-თმიანი, კუზიანი კაპიტანი და მისი უმცროსი ძმა, გემთშემკეთებელი ქარხნის დირექტორი პავლე გაბესკირია ხმა-დაბლა საუბრობდნენ.

— მაშ მოსკოვს აუცილებლად უნდა გაემგზავრო?—შეეკითხა კაპიტანი, დიდი ძარღვიანი ხელი გათეთრებულ, თხელ, გრძელ ულვაშზე გადაისვა. პირი ოდნავ გაეღო, ჩქარ-ჩქარა სუნთქავდა, ხანდახან თითქოს კვნესოდა კიდეც.

— დღეს უეჭველად, როგორც გითხარი, ნესტორ, ქარხანა უნდა გავაფართოო. შესაკეთებელი გემები ბევრია, შესაძლებლობა კი ქარხანას ძალზე მცირე აქვს. უფროსს ეს უნდა მოვახსენო.

მხარგაშლილ, თავდახრილ პავლეს ქუდი მუხლებზე ედო. დამნაშავე ადამიანივით თვალს ვერ უსწორებდა ძმას. ხედავდა: ნესტორის ჯანმრთელობა უარესდებოდა.

კაპიტანი ადგა.

— ერთ წუთს დამიცადე,—უთხრა პავლეს და თავის კაიუტისაკენ ნელი ნაბიჯით წავიდა.

გამოუთქმელი სევდით აღსავსე თვალებით პავლე უყურებდა ძმის მაღალ, ღონიერ ფეხებს, უზარმაზარ კუზს, განიერ, აწეულ მხრებში ჩამჯდარ თავს.

„რომ არ დაკუზიანებულიყო, რამოდენა ვაჟკაცი იქნებოდა!“

კაპიტანი დაბრუნდა.

— იქ არ დათვრე, თავი არ შეირცხვინო,— უთხრა, ფული მისცა, მერე ფოლადისფერი თვალებით გაუღიმა.

პავლეს ჰქონდა ფული; მაინც უარი ვერ გაუბედა. იცოდა ძმის ხასიათი: შესიტყვებას ვერ ითმენდა.

ერთმანეთი გადაჰკოცნეს.

* * *

მატარებელში პავლეს ეთვლიმებოდა.

განა მოსკოვს მიემგზავრება? არა. როსტოვში მონახავს სახელგანთქმულ ექიმს ბოგორაზს, ეტყვის: ბავშვი ვიყავი, მეზობელს ქვით ფანჯრის მინები ჩავულეწე. ძმამ ყური ამიწია. გაბრაზებულმა ჩაქუჩი მოვნახე, ძმას მივეპარე, ზურგში ჩავარტყი. მას უკან დაკუზიანდა. ნეკნებს შორის უჩირქდება, ნაადაგ ავადმყოფობს.

უკვე შეღამებული იყო, როცა მახლობელ კუპეში ვიღაცამ დაბალი ხმით წამოიწყო სევდიანი, ძეგრული „ნანა“. მას სხვები აჰყვნენ. თითქოს ადამიანები კი არა, შემოდგომის ქარიანი ღამე მოსთქვამდა მიწაზე დაცვენილ, უსიცოცხლო ფოთლებზე, თბილი ქვეყნებისაკენ გაფრენილ მერცხლებზე.

პავლეს თვალწინ წარმოუდგა ნესტორის ცხოვრება: თვრამეტი წლისა დაობლდა. საზღვაო სასწავლებელში სწავლობდა მაშინ. სტიპენდიით თავსაც ირჩენდა, პავლესაც ინახავდა. რამდენჯერ შემოსთენებია წიგნის კითხვაზე, ხანდახან პავლეს გადახედავდა, საბანი ხომ არ გადაიძრობო.

ხომალდის მეთაური რომ შეიქნა ნესტორი, ამხანაგები ურჩევდნენ—დაცოლიანდიო. ნაძალადევი ღიმილით უპასუხებდა: ჩემისთანა ძახინჯს ახლოს არავინ გაიკარებსო.

ნესტორი მეგობრულ ურთიერთობაში იყო მეზობლებთან, შავთვალწარბა ზეინაბთან. მის შვილებს—ჯემალსა და თამრიკოს განსაკუთრებული მზრუნველობით ეპყრობოდა. ბავშვებსაც უყვარდათ „ძია—ნესტორი“.

პავლეს არა ერთხელ შეუნიშნავს: ნესტორი გულისტკივილით ელერსებოდა თამრიკოს, რომელიც ზეინაბს ძალიან გავდა. ამის მიზეზი სრულიად შემთხვევით გაიგო. ერთხელ მაგიდაზე ჩამოსძინებოდა ნესტორს. წინ დღიური ედო. რამდენიმე სტრიქონი რომ წაიკითხა პავლემ, განცვიფრდა. თურმე ძმას ბავშვობიდან უყვარდა ზეინაბი, ქალმა კი არაფერი იცოდა.

მორებით დატვირთული „ჭოროხი“ ღრუბლიან დილით ანაკლიისაკენ გაემართა.

ქროდა ზღვაური. აქა-იქ ვეებერთელა ტალღა ხანგამოშვებით ამოაფრქვევდა თხილისოდენა თეთრ ბურთულებს. მერე ბურთულები უჩინარდებოდნენ და ისევ ლურჯად მილივლივებდნენ ტალღები.

ჰორიზონტისაკენ ბნელოდა. ჩაშავებულ წყალზე პატარა, თეთრი ზოლები ჩნდებოდნენ და ქრებოდნენ. მრუმე ღრუბლებში კიანთობდნენ თოლიები.

ყულევს რომ გაუსწორდა ხომალდი, ქარმა იმატა.

რავებულ უზარმაზარ მორს. ჩაყვინთა. მერე ფრთხილად ამოცურდა ...

...

დაარტყა. „დავიღუპე“,—ელვასავით აენთო ფიქრი და ცნობიერებასთან ერთად ჩაჰქრა.

* * *

იქ, აივანზე, პავლემ მთელი თავისი არსებით იგრძნო ძმის სიკვდილი და აქვითინდა. დიდხანს სტიროდა. ოთახში ფეხი რომ შესდგა, სამი წლის ჯემალი ნამტირალევ ზეინაბის მუხლებიდან ჩამოცურდა, კუბოსთან დადგა, პაწაწა ფუნჩულა თითი მიცვალებულის თავთან დაწყობილ თეთრ ყვავილებისაკენ გაიშვირა, „ძია, პავლე, მომეცითო“,—შეეხვეწა.



აკაკის პოემის „ორი ქართველის“ ილუსტრაცია. ნახ. **ს. მაისაშვილისა.** წიგნს ახლოხანში გამოსცემს საბლიტგამი.

**კონსტანტინე გამსახურდია**

## სალიტერატურო ქართულისათვის

### წერილი მეორე

ბალზაკი, ფლობერი და გოგოლი წამებულნი იყვნენ საკუთარი ენის წინწაწევის ტვირთისაგან. ამ საქმეში ისეთი დიდი შრომა და მარტვილობაა საჭირო, როგორიც მიქელანჯელოს დაადგებოდა ხოლმე, როცა იგი მარმარილოს ლოდებს ებრძოდა საჭრეთელით ხელში.

დიახ, მარტვილობა! „დიდოსტატის მარჯვენის“ იგავურ ენას ვერ მიუხდნენ ზოგნი. სწორედ ეგა ვთქვი უპირატესად ამ რომანით: ხელოვნება თამაში როდია, არამედ დიდი და მძიმე მარტვილობა, სადაც ყოველივე უპრინციპო თამაში სახიფათო სალტომორტალედ იქცევა, ხელოვნება ერთ რამეში ვენეციელ ვაჭარსა ჰგავს: თუ გულის არედან ამოგლეჯილი ხორცი არ შეაგდე სასწორის ფიალაზე, ეს ხელმოცარული ცდებაა, ან თამაში გამოვა უცილოდ.

ენა რაღაა? ენა მძიმე შრომით მონახვეჭი ქვა და დუღაბია. ეგეც უნდა ითქვას, ამ მასალის მოგროვება როდი კმარა, არამედ—მისი გადადნობა შემოქმედების დომნებში, ეგ არის უპირატესი ამბავი.

ზოგიერთ გულუბრყვილოს აგრე ჰგონია, თითქოს მე მიზნად მქონდეს დასახული გ. მერჩულის ენა აღვადგინო. ამ შემთხვევაში ისინი ემყარებიან იმ მოკლე სიტყვას, რომელიც მე წარმოვსთქვი 1932 წელს ქართველ მწერალთა კონფერენციაზე.

* * *

ქართული ენის მეურნეობაში მე მუდამ ვხედავდი მისი **გასოფლურების** საშიშროებას, ამიტომაც თამამად შემოვუშვი თანადროულ ქართულში ბერძნულ-ლათინური ძირის სიტყვები.

რადგან ვიცოდი, არც ერთი დიდი, თანადროული ენაც ამ კატეგორიის ბარბარიზმებს არ ასცდენია. 1914-18 წლებში გერმანელმა ნაციონალისტებმა სცადეს მთელი ურბანისტული ინვენტარი შეეცვალათ ნაციონალ-გერმანულით, მაგრამ სასაცილო ნოვატორობა გამოუვიდათ. მათ გააძევეს ენიდან „სეზონი“, „ტელეფონი“, „კულტურა“, „მოდა“ და სხვა. ქართულში მე არ თანავუგრძნობ ვაგონის ნაცვლად რონოდის შემოღებას, პროსპექტის ან პარაპეტის ნაცვლად—გამზირისას.

მე არასოდეს ვყოფილვარ ისეთი უტოპისტი, თუნდაც ერთხელ წარმომედგინა, თითქოს ძველი ქართულის სიტყვიერი ინვენტარი იკმარებდეს თანადროული დიდი რომანისათვის საჭირო ცნებათა კომპლექსის შესაჯერებლად.

* * *

ენის ლექსიკაში გაცილებით უფრო ხელგახსნილია მწერალი. ქართული ენის მდგომარეობასთან შეფარდებით პირდაპირ ბედნიერია რომელიმე ენა ევროპული კონტინენტისა. ეს ენათა ოჯახი ისე შეკრულია ნათესაობის ...

...

ამ შემთხვევაში უხვი სამკალია ქართველი მწერლის წინაშე, ოღონდ ესაა, ზომიერებისა და გემოვნების გრძნობამ არ უნდა უღალატოს მას.

მე იძულებული გავხდი საკმაოდ ჰარბად შემომეშვა ლიტერატურულ ქართულში ჩემამდი უხმარი სიტყვიერი დოვლათი. რა თქმა უნდა, მომეტებულად იმ შემთხვევაში, ...

...

წავლული მეცნიერები, ვერც ფსიქოლოგები გვეტყვიან ახალ რამეს.

დასასრულ ძველქართული ელემენტის გამო დავსძენდი ორიოდე სიტყვას. აქ ეგულება ზოგიერთს აქილევსის ტერფი ჩემი მუშაობისა.

რა თქმა უნდა, მე არ მაშინებს ზოგ-ზოგთა შეძახილი: „არქაიზმი“. როცა ეს პირები ლერმონტოვის „პესნ პრო კუპცა კალაშნიკოვას“, ...

...

გურული დიალექტიდან შემოვიღე „მონუსხვა“. ეს სიტყვა რამდენიმე თანამედროვემ იხმარა უკვე. ჭურჭლეულის ერთ ერთი სახეობა „პინაკი“ (იხ. ლუკა მე-9, 4). ეს სიტყვა „დავით აღმაშენებელში“ ვიხმარე. „ძუძუმტე“, „ტახტისმტე“ (ძველ ქართულიდან). როცა ორი მეფე ერთსა და იმავე ტახტზე იჯდა, ძველ საქართველოში ან ბიზანტიაში, ყოველ მათგანს **ტახტისმტე** ერქვა. შიშველის მეორე შესატყვისი „გლუ“ დაბადებიდან ვისესხე. შიშველიც იხმარება უძველეს ძეგლებში და „გლუც“. რითაა ეს უკანასკნელი პირველზე ...

# თეატრალური საზოგადოება

ქართული თეატრი სამართლიანად იქცევს საყოველთაო ყურადღებას. იგი ერთი უძველესი და ამავე დროს ერთერთი მოწინავე თეატრია მთელს კავშირში.

ქართული თეატრის ნამდვილი შემოქმედებითი დავაჟკაცება და ჭეშმარიტი აღორძინება ხდება სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, — სწორედ მაშინ, როდესაც დაიწყო მთელი ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული აღორძინება. საბჭოთა ხელისუფლებამ გააფართოვა ქართული პროფესიული თეატრების ქსელი, ყველა მნიშვნელოვან რაიონულ ცენტრსა და საოლქო ქალაქში შექმნა სახელმწიფო თეატრები, რომელთა შემოქმედებითი ცხოვრება უჩვეულო სიმაღლეზე აიყვანა. ჩვენმა მოწინავე, წამყვანმა თეატრებმა შექმნეს საკუთარი, ღრმად თავისებური რეალიზმის პრინციპებზე დაფუძნებული სახე. ჩვენი მოწინავე თეატრები, აგვისახავენ რა ცხოვრების სიმართლეს, განცდათა სიღრმითა და ემოციური უშუალობით იძლევიან ხალხის სულს, ეროვნულ ხასიათს.

ხალხისა და პარტიის მზრუნველობით გარემოცულმა ქართულმა თეატრმა ბრწყინვალე წარმატებებს მიაღწია ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური ხელოვნების განვითარების საქმეში. მან მოიპოვა შესაძლებლობა მთელის ხმით ელაპარაკოს თავის ხალხს და იყოს ლენინ-სტალინის პარტიის დიადი იდეების, მოწინავე მორალისა; საბჭოთა ეპოქაში გამომუშავებული თანამედროვე ადამიანის ხასიათის ახალი თვისების მხატვრული პროპაგანდისტი.

ცხადია, ჩვენს თეატრებს ჯერ კიდევ ბევრი აქვთ გასაკეთებელი მომავალში, მაგრამ პარტიამ და ხელისუფლებამ შეუქმნეს მათ ყოველგვარი სიძნელის გადალახვისა და თანამიმდევრული შემოქმედებითი ზრდის სრული პირობები. თვით სამამულო ომის მძიმე დღეებშიც კი, ოდნავადაც არ შენელებულა თეატრალური ხელოვნების იდეურ-მხატვრული ზრდის პროცესი და მისი შემოქმედებითი ენერგიის დაგროვება, პოტენციური განვითარება.

ომის მძვინვარე დღეებში მგზნებარედ გაისმოდა საბჭოთა თეატრის შთამაგონებელი ხმა. ომის პერიოდშივე დაისახა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ამოცანებისა, რომელთა სრული განხორციელება უფრო მეტად შესაძლებელია ახლა, როცა ჩვენი ხალხის მთელი ენერგია მიმართულია მშვიდობიანი მშენებლობისაკენ.

განსაკუთრებით მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს დადგენილება საქართველოს თეატრალური საზოგადოების დაარსების შესახებ. ეს დადგენილება, რომელიც არის ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის განვითარებაზე ლენინ-სტალინის პარტიის უდიდესი ზრუნვის ახალი დამადასტურებელი ფაქტი, საფუძველს უყრის ჩვენი პროფესიული თეატრების იდეურ-შემოქმედებითი განვითარების ახალ ეტაპს.

საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ ნებაყოფლობის საფუძველზე თავის რიგებში უნდა გააერთიანოს ყველა ჟანრის თეატრალური მუშაკი; იგი უნდა გადაიქცეს ნამდვილ შემოქმედებითი ცენტრად, რომელიც დაეხმარება ხელოვანთა ფართო წრეს, კერძოდ, ახალგაზრდა კადრებს შემოქმედებითი კვალიფიკაციის ამაღლებაში. მოწინავე თეატრებისა და პროფესიულ აქტიორთა გამოცდილების შესწავლით, განზოგადოებით და გაზიარების ორგანიზაციით ხსენებულმა საზოგადოებამ ხელი უნდა შეუწყოს წამყვანი თეატრების მუშაობის გაუმჯობესებას და რაიონული თეატრების სრულ პროფესიონალიზაციას.

თეატრალურმა საზოგადოებამ საბჭოთა ხელოვნების შემოქმედებითი პრინციპების პროპაგანდისა და სოციალისტური რეალიზმის მეთოდის ღრმად დანერგვის ნიადაგზე უნდა აამაღლოს სპექტაკლების ხარისხი, როგორც აქტიორული შესრულების, ისე რეჟისორული ორგანიზაციის მხრივ.

საზოგადოებამ უნდა განამტკიცოს ქართული თეატრის კავშირი რუსეთისა და სხვა მოძმე რესპუბლიკების თეატრებთან, რადგან ამ კავშირისა და გამოცდილების გაზიარების გარეშე შეუძლებელია საკუთარი თეატრალური ხელოვნების თვისობრივი ზრდა. ქართული, ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური, თეატრალური კულტურა უნდა შეიქნეს, რუსული და აგრეთვე ევროპის მოწინავე თეატრების გამოცდილების შესწავლისა და გამოყენების ნიადაგზე.

თეატრალურმა საზოგადოებამ თეორიულად უნდა დაამუშაოს აგრეთვე საბჭოთა თეატრის პრობლემები, მისი უახლოესი პრაქტიკული ამოცანები და დაეხმაროს თეატრალურ საკვლევო-სამეცნიერო ორგანიზაციებს მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის ფართოდ გაშლაში. ამასთან ერთად საზოგადოებამ მჭიდრო ურთიერთობა უნდა დაამყაროს აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ-ოსეთისა და რაიონულ თეატრებთან, მოაწყოს შემოქმედებითი გამოცდილების გაზიარება იქაურ მუშაკებთან.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი თეატრების მუშაობის გაუმჯობესებისა და მათი სპექტაკლების კულტურის ამაღლების საქმეში საზოგადოებრივი აზრის გამოყენებას. უნდა ვაღიაროთ, რომ დღემდე ამ გარემოებას არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. იშვიათად ეწყობოდა საჯარო განხილვები თეატრების სპექტაკლებისა; როგორც თბილისში, ისე პერიფერიებში თეატრის მუშაკები კმაყოფილდებოდნენ ვიწრო, ნახევრად კარჩაკეტილი მუშაობით. მათ თავიანთი ნამუშევარი კოლექტივის საჯარო წინაშეც იშვიათად გამოჰქონდათ.

თეატრალური საზოგადოების დაარსება წარმოადგენს უდიდეს კულტურულ-პოლიტიკურ მოვლენას ქართული ხელოვნების განვითარების ისტორიაში. იგი შლის ფართო შემოქმედებით ჰორიზონტს თეატრალური ხელოვნების მუშაკთა წინაშე და ჰქმნის წინაპირობებს ნაციონალური თეატრალური ხელოვნების უფრო ძლიერი აღმავლობისათვის.

თეატრალური საზოგადოების გარშემო უნდა დაირაზმოს კულტურისა და ხელოვნების ყველა მუშაკი და თავისი ენერგიის ნაწილი მოახმაროს მისი მუშაობის განმტკიცებას.

# თეატრალური საზოგადოების დაარსება

[illegible]

# სამეცნიერო საბჭო თეატრალურ ინსტიტუტთან

[illegible] უმაღლესი სკოლების კომიტეტმა რუსთაველის სახ. საქართველოს თეატრალური ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტთან დაამტკიცა სამეცნიერო საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

აკ. ხორავა (სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე), აკ. ფაღავა, გ. ახვლედიანი, შ. ამირანაშვილი, ვ. ბერიძე, ი. გრიშაშვილი, დ. ჯავრიშვილი, ქ. კეკელიძე, ლ. გუდიაშვილი, რ. ნათაძე, გ. კიკნაძე, დ. ალექსიძე, გ. ტოვსტონოგოვი, მ. მრევლიშვილი, აკ. ვასაძე, დ. ჯანელიძე, გ. ჩხეკვაძე, ი. შარაშენიძე, გ. ქიქოძე, ს. ყაუხჩიშვილი, ბ. ჟღენტი, ი. ანთაძე, ა. ქუთელია, დ. კაკაბაძე, ს. ედიბერიძე, ს. გერსამია (სწავლული მდივანი).

[illegible] ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მინიჭებული აქვს უფლება განიხილოს სადისერტაციო შრომები და მიაკუთვნოს ხელოვნებამცოდნეობის კანდიდატის ხარისხი შემდეგ სპეციალობათა მიხედვით: დრამატურგიის ისტორია და თეორია, თეატრის ისტორია და თეორია, ისტორია და თეორია თეატრალური ტექნოლოგიისა (რეჟისურა, აქტიორული ხელოვნება, სცენიური მოძრაობა, მხატვრული მეტყველება, სცენის გაფორმება, მუსიკა თეატრში), თეატრალური მომზადების ისტორია და თეორია (თეატრალური კადრების მომზადების პრობლემა).

# „საქორწილო მზადება"

ს. მთვარაძის ოთხ მოქმედებიანი დრამა „საქორწილო მზადება" ეხება სამამულო ომის ეპოქას.

ომი დამთავრდა. მაგრამ ომში წასული გიორგი შალიაშვილისაგან არავითარი ამბავი არ ისმის. სწუხან გიორგის დედ-მამა, ცოლი, მახლობლები. სოფელში ბრუნდება ჰოსპიტლიდან ახლად გამოწერილი ზურაბ ილაური — მანანის სატრფო. ზურაბი და გიორგი ერთად იბრძოდნენ ფრონტზე და ზურაბმა თავისი თვალით ნახა, თუ როგორ ჩაჰფლა ყუმბარამ გიორგი მიწაში. სოფელში ამბავი მოვიდა, რომ ვიღაც გიორგი შალიაშვილი ჰოსპიტალში უნახავთ დაჭრილი. სოფელში სამი გიორგი შალიაშვილია, სამივე ფრონტებზე დაკარგული: ოჯახი მაინც აწყობს ქეიფს. სმის დროს ზურაბს დაძალებენ სთქვას გიორგის სადღეგრძელო. მკვდარი ადამიანის სადღეგრძელო აუტანელი რამ არის და ზურაბიც იტყვის სიმართლეს. გულდათუთქული გიორგის დედ-მამა გადასწყვეტს ალაპის გამართვას. ალაპზე მთელ სოფელს იწვევენ, მაგრამ სრულიად მოულოდნელად გამოჩნდება თვით გიორგი, რომელიც ყუმბარას ოდნავ დაემარხა და სანიტრებს გადაერჩინათ. ომგადახდილი ვაჟკაცი ალაპს ზურაბისა და მანანის ქორწილად გადააქცევს.

პიესაში სულ 9 მოქმედი პირია. ოთხივე მოქმედება მიდის ერთ დეკორატიულ გარემოცვაში. პიესა დაწერილია ცოცხალი ენით.

ს. მთვარაძის „საქორწილო მზადება" ახალი სეზონის რეპერტუარში შეიტანეს დასადგმელად: თელავის, ველისციხის, ცხაკაიას, სამტრედიის, მცხეთის და წითელწყაროს თეატრებმა.



ი. ჭავჭავაძის „დიმიტრი თავდადებულის" ილუსტრაციები. ნახ. ს. მაისაშვილის. წიგნს ახლო ხანში გამოსცემს „საბლიტგამი"

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმში

# ქართული საბჭოთა ლიტერატურა 1944—45 წ.

## კამათი ამხ. ს. ჩიქოვანის მოხსენების გამო

მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმებზე და კრებებზე,—აცხადებს ს. წვერავა,—შეუფასებელი და ზოგჯერ მოუხსენებელიც კი რჩება ის ფრიად ნაყოფიერი კულტურულ-სააგიტაციო მუშაობა, რომელსაც საქართველოს საბჭოთა მწერლების კოლექტივი ეწეოდა ზურგის მშრომელებსა და ფრონტზე მყოფ მებრძოლთა შორის. მწერლების ხშირმა მისვლა-მოსვლამ და ცოცხალმა ურთიერთობამ ფრონტისა და ზურგის გმირ ადამიანებთან გააფართოვა მწერალთა დაკვირვების არე, გაამდიდრა და გააღრმავა მათი გამოცდილება, რამაც უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა ჩვენი ლიტერატურის იდეურ-მხატვრული დონე. ეს პრაქტიკა მშვიდობიან პერიოდშიაც უნდა გაგრძელდეს. ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავაფართოვოთ ჩვენი ცოცხალი კავშირი იმ ადამიანებთან, რომლებიც გაორკეცებული ენერგიით მუშაობენ ომისაგან მიყენებულ ჭრილობების მოსაშუშებლად, ჩვენი სახალხო მეურნეობის აღსადგენად და ასაღორძინებლად. შემდეგ ორატორმა ილაპარაკა მწერალთა ურთიერთდამოკიდებულების საკითხზე. ჩვენი კრიტიკოსები და სხვა ჟანრის მწერლები ხშირად მოკლებული არიან ზომიერების გრძნობას თავიანთი კოლეგის შემოქმედების განხილვისა და შეფასების დროს,—ერთი რომ ცამდე აჰყავთ, მეორეს მიწასთან ასწორებენ, ფიგურალურად, რომ ვსთქვათ, ზოგს ისე აუწევენ პატრუქს, რომ ბოლვას იწყებს, ხოლო ზოგს ისე დაუწევენ, რომ სრულიად აქრობენ. საჭიროა მეტი გულისხმიერება და პატივისცემა ერთმანეთისადმი.

მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის დამოკიდებულება მწერლებისადმი,—სთქვა ი. ხოშტარიამ,—საგრძნობლად გაჯანსაღდა, გაცხოველდა აგრეთვე მუშაობა ნორმალური შემოქმედებითი პირობების შესაქმნელად, მაგრამ ერთგვარი მექანიკური დაყოფა კავშირის წევრებისა დიდ და პატარა მწერლებად ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის. მწერალთა კავშირის გამგეობის მეტ მზრუნველობას მოითხოვენ განსაკუთრებით საბავშვო მწერლობის დარგში მომუშავე ამხანაგები. ჩვენი წიგნის მაღაზიის თაროებზე უკვე აღარ მოიპოვება საბავშვო ლიტერატურა. ახალი თაობის აღზრდის ინტერესი მოითხოვს დაიწეროს ორიგინალური ნაწარმოებები და ითარგმნოს კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები ბავშვებისათვის. ორატორი არ იზიარებს იმ შეფასებას, რომელიც მომხსენებელმა მისცა გალაკტიონ ტაბიძის, ალიო მაშაშვილის და ვიქტორ გაბესკირიას ომის წლებში დაწერილ ლექსებს.

— სამამულო ომის წლები,—ამბობს სერგო კლდიაშვილი,—უეჭველად იყო ქართული საბჭოთა ლიტერატურის ზრდის წლები. ამ პერიოდში ყოველ ჟანრში შეიქმნა არა ერთი და ორი ისეთი ნაწარმოები, რომელიც გაუძლებს დროის გამოცდას და დარჩება ლიტერატურაში. სხვა მრავალთა შორის ასეთად შეიძლება ჩაითვალოს ს. ჩიქოვანის ლექსი „დედა", კ. ნადირაძის ლექსი „ზღვის პირად", ლეო ქიაჩელის ნოველები, გ. ნატროშვილის საფრონტო მოთხრობები, ალ. ჭეიშვილის ახალი რომანის ახლახან გამოქვეყნებული თავები, მ. ჯაფარიძის ისტორიული პიესა „ყამთაბერი" და სხვა. შეეხო რა სამამულო ომის წლებში შექმნილ პროზაულ და დრამატულ ნაწარმოებთა სუსტ მხარეებს, ორატორმა ყოვლად გაუმართლებლად ჩასთვალა ზოგიერთი რუსი და ქართველი მწერლის ცდა მხატვრულ ნაწარმოების პრობლემად გახადოს საკითხი—მიიღებს თუ არა თანაგრძნობით ოჯახი ან საზოგადოება მეომარს, რომელსაც ომში ჯანმრთელობა დაუკარგავს ან სახე დასახიჩრებია. ეს საკითხი ჩვენს სინამდვილეში არ არსებობს და მისი დასმაც კი მხატვრულ ნაწარმოებში, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, დიდი უხერხულობა და გმირ ადამიანებისადმი ჩვენი საზოგადოების დამოკიდებულების ერთგვარი შებღალვაა.

სამამულო ომი საბჭოთა ხალხის ძლევამოსილ გამარჯვებით დამთავრდა,—ამბობს ი. ლისაშვილი,—ჩვენი ქვეყანა მშვიდობიანი განვითარების პერიოდში შევიდა. ამისდამიხედვით მწერლობის წინაშე ახალი შემოქმედებითი ამოცანები ისახება. სამამულო ომის დიდი გამოცდილების საფუძველზე ჩვენ უნდა შევქმნათ ნაწარმოებები, რომლებიც მთელი თავისი სიდიადით გამოაჩენენ საბჭოთა ადამიანის სულიერ ძლიერებას და მის დაუშრეტელ შემოქმედებითს ძალას. ჩვენ დიდი მუშაობა უნდა ჩავატაროთ, რომ მწერლობამ ეს სასახელო და საპატიო ამოცანა დასძლიოს. უწინარეს ყოვლისა, უნდა გაჯანსაღდეს შემოქმედებითი ატმოსფერა და მწერალს დამშვიდებული მუშაობის საშუალება მიეცეს, რაც დიდად არის დამოკიდებული კრიტიკისა და მწერალთა საზოგადოებრივობის გულისხმიერებაზე თვითეული შემოქმედის მიმართ. ჩვენს ლიტერატურულ სინამდვილეში იშვიათი არ არის შემთხვევა, რომ მთელი წლების მანძილზე არაფერი იწერება ისეთი ნაწარმოების გამო, რომელიც მკითხველ მასებში პოპულარობით სარგებლობს, ხოლო მთელი ხმაურია ატეხილი ისეთ პოეტურ ან პროზაულ ნაწარმოებზე, რომელსაც მკითხველი არ ღებულობს. ხანგრძლივი დუმილი მწერალში სპობს შემოქმედებითს ხალისს და ადუნებს მის შესაძლებლობას. ამ გულგრილობას და მწერლის შეუფასებლობას ჩვენს წრეში ბოლო უნდა მოეღოს.

— ჩვენი მწერლების დიდ ნაწილს,—განაცხადა ნ. ჩაჩავამ,—საბავშვო მწერლობაში მუშაობა დიდ და საპატიო საქმედ არ მიაჩნია, ამის საილუსტრაციოდ თუნდა ის ფაქტი კმარა, რომ საბავშვო ლიტერატურის სექციის მიერ მოწყობილ ლიტერატურულ საღამოებს და შემოქმედებითს დისკუსიებს მწერლები ნაკლებად ესწრებიან. ასეთი უგულებელყოფა ზოგიერთს ინტერესს უკარგავს ისეთი საპასუხისმგებლო საქმისადმი, როგორიც არის საბავშვო ლიტერატურაში მუშაობა. ჩვენი კრიტიკაც ნაკლებად არის დაინტერესებული საბავშვო ლიტერატურის ბედით. იგი ნაკლებად ან სულ არ ამჩნევს საბავშვო მწერალს, თვალყურს არ ადევნებს მის ზრდას. ზოგიერთ საბავშვო მწერალზე, რომელიც ათეული წლების განმავლობაში მუშაობს, ერთი კრიტიკული შენიშვნაც კი არ არსებობს. თუ ჩვენ მხატვრულ კრიტიკას თანამედროვე საბავშვო ლიტერატურის დონე არადამაკმაყოფილებლად მიაჩნია, მით უფრო ვალდებულია იგი გამოამზეუროს მისი სუსტი და მტკივანი ადგილები და ამით ხელი შეუწყოს საბავშვო ლიტერატურის შემდგომ აღმავლობას.

— არ არის სწორი მოსაზრება,—სთქვა ბ. ჩხეიძემ, — თითქოს ნაწარმოებს, რომელიც მოკლებულია მხატვრულობას, შეეძლოს ინტერესი აღძრას და პოპულარობა მოიპოვოს მხოლოდ თემის აქტუალობით. შეეხო რა თანამედროვე ქართული საბჭოთა პროზის მტკივნეულ საკითხებს, ორატორმა აღნიშნა, რომ ჩვენი პროზაიკოსების უმრავლესობა დღემდე მხოლოდ სოფელზე და სოფლის ადამიანებზე სწერს. ეს არის წარსული საუკუნის მწერლობიდან მომდინარე ინერცია. ინდუსტრიულ-აგრარული საქართველო თავისი ფაბრიკა-ქარხნებით, საბჭოთა მეურნეობებით, მუშებით, ტექნიკური ინტელიგენციით ჯერ კიდევ სრულყოფილად არ სჩანს ჩვენს ლიტერატურაში, ეს არის ერთ-ერთი სისუსტე ჩვენი პროზისა.

(დასასრული მე-4 გვ.)

ბესარიონ ჟღენტი

# თეატრალური სეზონის შედეგებისათვის

მალე, საზაფხულო შესვენების შემდეგ, კვლავ აიხდება ქართული თეატრის ფარდა. დაიწყება ახალი თეატრალური სეზონი.

ომგადახდილი საბჭოთა მაყურებელი მივა თეატრში იმედითა და კანონიერი მოთხოვნით, რომ მშობლიური სცენიდან იხილოს და მოისმინოს პასუხი იმ მრავალ სადღეისოდ მწვავე და მღელვარე საკითხზე, რომლებიც აღიძვრებიან ახლა ომის ქარცეცხლიდან ძლევამოსილად გამოსული საბჭოთა ადამიანის უჩვეულოდ გამდიდრებულსა და გამძაფრებულ სულიერ სამყაროში.

ეს გარემოება ახალი, უაღრესად რთული და თანაც საპატიო, კეთილშობილი ამოცანების წინაშე აყენებს ჩვენს თეატრს. ამ ამოცანათა წარმატებით განხორციელებისათვის ზედმეტი არ იქნება ფხიზლად შევაფასოთ განვლილი თეატრალური სეზონის შემოქმედებითი შედეგები, ობიექტურად განვიხილოთ და გავითვალისწინოთ ყველა მიღწევა, თუ ნაკლოვანება, რომელიც დამახასიათებელი იყო ქართული თეატრის შემოქმედებითი ცხოვრებისათვის გასული სეზონის მანძილზე.

მსჯელობის მეტი კონკრეტულობისათვის, ანალიზისა და დასკვნების მეტი ხელშესახებობისათვის ჩვენს მიმოხილვას უმთავრესად ორი საუკეთესო ქართული თეატრის — რუსთაველის თეატრისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრის შემოქმედებითი საქმიანობის მასალებზე დავამყარებთ; ეს, რა თქმა უნდა, როდი ნიშნავს, თითქოს თანამედროვე ქართული თეატრალური კულტურა ამ ორი თეატრით განისაზღვრებოდეს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ახლა ქართული თეატრის ცნება გაცილებით ფართოა და მრავლისშემცველი.

თბილისშიც და საქართველოს სხვა ქალაქებშიც წარმატებით მოღვაწეობენ ნიჭიერი და კვალიფიციური თეატრალური კოლექტივები, რომლებიც თავიანთი ღირსეული შემოქმედებითი წვლილით ამდიდრებენ და ამრავალფეროვანებენ ჩვენი ნაციონალური საბჭოთა ხელოვნების თანამედროვე კულტურას.

შეუძლებელია, მაგალითად, გასული თეატრალური სეზონის შედეგების შეფასებისას არ გავიხსენოთ ისეთი მნიშვნელოვანი წარმოდგენა, როგორიც არის ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო თეატრის დადგმა „ხევისბერი გოჩა" და ამ სპექტაკლში ახალგაზრდა მსახიობის შ. პირველის მიერ შექმნილი სახე მოხუცი ხევისბერისა, რომელიც დამსახურებულად სარგებლობს მაყურებლის დიდი მოწონებით.

პირადად შემთხვევა გვქონდა გვენახა სოხუმის ქართული სახელმწიფო დრამის წარმოდგენა „შეხვედრა ბნელში". იგი აშკარად ამჟღავნებს იშვიათ შემოქმედებითს უნარს თეატრალური კოლექტივისა, რომელმაც შესძლო დრამატურგ კნორრეს ფრიად სუსტი პიესის საფუძველზე შექმნა საკმაოდ საინტერესო წარმოდგენა, რომლის უპირველეს ღირსებას ნიჭიერი ახალგაზრდა მსახიობი ქალის მარინა თბილელის შესანიშნავი თამაში წარმოადგენს პიესის მთავარი გმირის — ვარიას როლში.

გორის სახელმწიფო თეატრის მუშაობამ საკავშირო ავტორიტეტული ორგანოების მაღალი შეფასება დაიმსახურა. ხაშურში ჩამოყალიბდა ახალი სახელმწიფო თეატრი, სადაც ახალგაზრდა რეჟისორის ოთარ ალექსიშვილის მეთაურობით შემოკრებილია ახალგაზრდა მსახიობთა ნიჭიერი კოლექტივი. ამ თეატრის პირველმავე წარმოადგენამ მაყურებლისა და პრესის ყურადღება მიიპყრო. ჩვენი რესპუბლიკური პრესა ეხმაურებოდა და დადებითს შეფასებას აძლევდა ფოთის, ბათუმისა, ჭიათურის და თელავის თეატრების ახალ ნამუშევრებს.

გრიბოედოვის სახელობის თბილისის რუსული დრამის შემოქმედების დასახასიათებლად გასულ სეზონის განმავლობაში საკმარისია მოვიგონოთ თუნდაც მისი ერთი წარმოდგენა „უკანასკნელი მსხვერპლი" (ოსტროვსკისა) და ამ წარმოდგენაში ვარვარა ალექსი-მესხიშვილის მიერ მაღალი არტისტული ხელოვნებით შესრულებული როლი იულიასი; მნახველის მეხსიერებაში წარუშლელად აღბეჭდილია ეს მაღალმხატვრული სცენიური სახე.

თბილისის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრმა საანგარიშო პერიოდში საკუთარ ძალთა ისეთი განმტკიცება იგრძნო, რომ არ დაერიდა ერთგვარს შემოქმედებითს შეჯიბრებაში შებმოდა რუსთაველის სახელობის თეატრს; ამ უკანასკნელთან პარალელურად მან დადგა გრ. ბერძენიშვილის პიესა „ტირიფის ქვეშ".

ფართო გამოხმაურება ჰპოვა ქართული მუსიკალური კომედიის თეატრის ახალმა სპექტაკლმა „მსახიობის სიყვარული" (ნ. მიქავასა და გ. აბაშიძის ლიბრეტოს საფუძველზე). ამ წარმოდგენამ თითქოს ერთბაშად გააშუქა ქართული მუსიკალური კომედიის განვითარების პერსპექტივა და გააძლიერა მაყურებლის ინტერესი და პატივისცემა ხსენებული თეატრისადმი.

კიდევ მრავალი არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტის დასახელება შეიძლება, მაგრამ თანამედროვე ქართული თეატრალური ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ამ დიდი მრავალფეროვნების ანალიზი ყოვლად შეუძლებელი იქნება, თუ მას რაიმე ფოკუსი არ მოვუნახეთ; სწორედ ასეთ ფოკუსად, ასეთ დასაყრდენ ბირთვად მიგვაჩნია ჩვენ რუსთაველის სახელობისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრების მუშაობა, რომლებიც უეჭველად ტონს აძლევენ მთელი ქართული საბჭოთა ხელოვნების განვითარებას, განსაზღვრავენ მის ძირითად ტენდენციებს და თავისი მიღწევებით თუ ნაკლოვანებებით დამახასიათებელნი არიან ჩვენი თანამედროვე ეროვნული თეატრალური კულტურისათვის. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია ჩვენ შესაძლებლად და ბუნებრივად, რომ თეატრალური სეზონის შედეგების შეფასებისას, ამ ორი თეატრის შემოქმედებითი პრაქტიკის ფაქტიურ მასალებს დავემყაროთ.

* * *

თუ რუსთაველის თეატრისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მუშაობის საზომით შევაფასებთ განვლილ სეზონის ქართულ თეატრალურ ცხოვრებას, მის უპირველეს თავისებურებად შემოქმედებითი მუშაობის ინტენსიურობა, მისი ტემპების მნიშვნელოვანი გაძლიერება უნდა მივიჩნიოთ. თუ წინა 1943-44 წ. სეზონის განმავლობაში ამ ორმა თეატრმა მხოლოდ ოთხი ახალი დადგმა განახორციელა, უკანასკნელი სეზონის მანძილზე მათ ცხრა პრემიერა მოგვცეს.

ჩვენი თეატრის შემოქმედებითი ნაყოფიერების ასეთი ზრდა დიდი კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს. აქ საქმე რასაკვირველია, რიცხობრივ მაჩვენებელთა მდგომარეობას როდი შეეხება. მუშაობის ასეთი ტემპი საშუალებას აძლევს თეატრს გააფართოოს და გაამრავალფეროვანოს თავისი თემატიური დიაპაზონი, მოაწესრიგოს სასურველი თანაფარდობა თავის რეპერტუარში თანამედროვე და კლასიკურ დრამატურგიას შორის, ორიგინალურ და თარგმნილ პიესათა შორის. მუშაობის ასეთი ტემპი საუკეთესო საშუალებაა ინერციულობისა და ინდიფერენტიზმის საშიშროების აღმოსაფხვრელად, მსახიობთა და რეჟისორთა ნორმალურად დატვირთვისათვის, თეატრის მთელი კოლექტივის გააქტიურებისათვის, თეატრალური ყოფის გაჯანსაღებისათვის.

განვლილმა სეზონმა დაამტკიცა, რომ ჩვენს საუკეთესო თეატრებს თავისუფლად შეუძლიათ სეზონის განმავლობაში სულ მცირე 4-5 ახალი სპექტაკლის შექმნა და ისინი ვალდებულნი არიან თავიანთ მომავალ მუშაობაში შეინარჩუნონ ეს ტემპი, უკან არ დაიხიონ მისგან.

გავლილი თეატრალური სეზონის მეორე დადებით თავისებურებას წარმოადგენს ორიგინალური დრამატურგიის ხვედრითი წონის მნიშვნელოვანი გაზრდა ქართული თეატრის რეპერტუარში. სეზონის განმავლობაში დასახელებული ორი თეატრის მიერ დადგმული 9 პიესიდან, 7 პიესა ქართველ დრამატურგთა კალამს ეკუთვნის და მათ შორის ოთხი ჩვენი გმირული თანამედროვეობის თემატიკაზეა აგებული.

ჩვენ არ ვიტყვით, რომ სწორედ ასეთი პროპორცია იდეალური და სავალდებულო იყოს, მაგრამ რეპერტუარის ამგვარი შერჩევა მოწმობს, რომ ჩვენი თეატრი ბოლოსდაბოლოს, მტკიცედ დამდგარა იმ აზრზე, რომ შეუძლებელია თანამედროვე ნაციონალური თეატრის ნორმალური განვითარება, თუ იგი უპირატესად ორიგინალურ დრამატურგიას და თანამედროვე ცხოვრების თემატიკას არ დაემყარა.

ამ თვალსაზრისით უაღრესად პრინციპული მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ ერთი სეზონის განმავლობაში რუსთაველის სახელობისა და მარჯანიშვილის თეატრების სცენაზე დაიდგა შვიდი თანამედროვე ქართველი დრამატურგის პიესა: მ. ჯაფარიძის „ყამთაბერის ასული", ს. კლდიაშვილის „ირმის ხევი", ა. სამსონიას „ბაგრატიონი", ს. შანშიაშვილის „ხევისბერი გოჩა", კ. კალაძის „ერთი ღამის კომედია", გ. შატბერაშვილის „ფიქრის გორა" და გ. ბერძენიშვილის „ტირიფის ქვეშ".

დასახელებული პიესების იდეურ-მხატვრული დონე და ხარისხი თანაბარი არ არის. ცნობილია ისიც, რომ ყოველ მათგანს საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაკლი ახასიათებს, რაც თავის დროზე სავსებით ცხადად და დაურიდებლად იყო აღნიშნული და გარკვეული ჩვენი კრიტიკის მიერ.

სამართლიანად იყო აღნიშნული, მაგალითად, რომ მ. ჯაფარიძის „ყამთაბერის ასული", რომელიც ყურადღებას იქცევს მძაფრი კომედიური სიტუაციებით, მახვილი სიტყვიერი მასალითა და მკვეთრად გამოხატული ტიპაჟით, ამავე დროს მოკლებულია გარკვეულ იდეურ მიზანდასახულებას, ისტორიული ეპოქის კონკრეტულ-სოციალურ გააზრებას. ა. სამსონიას უეჭველად ნიჭიერად დაწერილი დრამა „ბაგრატიონი" მაინც ვერ არღვევს ლიტერატურაში გავრცელებულს შაბლონად ქცეულს ტრადიციას ამ დიდი სარდლის პიროვნების ცალმხრივად გაშუქებისა და დახასიათებისა. სანდრო შანშიაშვილის „ხევისბერი გოჩა", ამ პიესის დიდი წარმატების მიუხედავად, მაინც ვერ აღწევს ალ. ყაზბეგის უკვდავი ქმნილების ცხოველმყოფელობას და მაღალ შთამაგონებელ ძალას.

გასაგებია, რომ მეტის სიფრთხილითა და სიმკაცრით შეაფასა ჩვენმა სალიტერატურო და თეატრალურმა კრიტიკამ თანამედროვე თემაზე დაწერილი პიესები ქართველი დრამატურგებისა.

საზოგადოებრივმა აზრმა, პრესამ და კრიტიკამ ერთხმად მოიწონა ჩვენი საუკეთესო თეატრების სცენაზე ს. კლდიაშვილის, კ. კალაძის, გ. შატბერაშვილის, გრ. ბერძენიშვილის პიესათა განსახიერების ფაქტი, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი დრამატურგიისა და თეატრის ორგანიული დაკავშირებისათვის საბჭოთა ხალხის ახლანდელ ცხოვრებისა და ბრძოლის გმირულ სინამდვილესთან.

მაგრამ ამასთანავე მოსაწონი პრინციპულობითა და პირდაპირობით იქნა გამოაშკარავებული ის სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებსაც დასახელებული პიესები შეიცავენ მათში დასახული სცენიური მოტივაციების რეალურობისა და დამაჯერებლობის თვალსაზრისით, მათი პერსონაჟების, სახეების ცოცხლად და ტიპიურად ხატვის საზომით, ამ ნაწარმოებთა კომპოზიციური მთლიანობისა, თუ იდეური სიღრმის, ფსიქოლოგიური სიმართლის კრიტერიუმით.

ნაკლოვანებათა ასეთმა დაუფარავმა და სამართლიანმა მხილებამ ხელი უნდა შეუწყოს მათს დაძლევასა და აღმოფხვრას ჩვენი დრამატურგიისა და თეატრების შემდგომ მუშაობაში თანამედროვეობის თემებზე.

მაგრამ არის საშიშროება მთელი ამ კრიტიკის ყალბად, არასწორად გაგებისა და გამოყენებისა. ხსენებულმა კრიტიკამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა წარმოშვას ტენდენცია ორიგინალური დრამატურგიისა და თანამედროვე თემატიკისადმი ყურადღების შემცირებისა და იმ შედარებით იოლ გზისკენ თეატრების „უკან დაბრუნებისა", რომელსაც წარმოადგენს უპირატესად ისტორიულ თემებზე მუშაობა, რეპერტუარის დამყარება თარგმნილსა და გადმოკეთებულ პიესებზე.

შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღნიშვნამ კი არ უნდა დაგვაფრთხოს, არამედ უნდა შეგვაიარაღოს მათი დაძლევისათვის საბრძოლველად. ქართულმა საბჭოთა თეატრმა მტკიცედ ხელი უნდა ჩასჭიდოს გასული სეზონის საუკეთესო მონაპოვარს: ორიგინალური პიესებისა და თანამედროვეობის თემატიკის გაბატონებულ მდგომარეობას ქართული თეატრის რეპერტუარში. რაც უფრო რთულია ეს ამოცანა, მით უფრო საპატიოა იგი და მით უფრო მეტის გულმოდგინებით უნდა იბრძოლოს ჩვენმა თეატრმა და დრამატურგიამ ამ კეთილშობილური ამოცანის განსახორციელებლად.

თანამედროვე დრამატურგიის იდეურ-მხატვრული ხარისხის შემდგომი ზრდის საქმეში დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება მწერალთა შემოქმედებითს ორგანიზაციას და, კერძოთ, მწერალთა კავშირის დრამსექციას.

ყოვლად დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ გასულ სეზონში დადგმულ ზემოდასახელებული პიესებიდან არცერთი (გარდა შანშიაშვილის პიესისა) წინასწარ წაკითხული და განხილული არ ყოფილა მწერალთა და დრამატურგთა შორის. კოლექტიური შემოქმედებითი აზრის ზეგავლენა, ურთიერთშემოქმედებითი დახმარება, რისთვისაც, პირველ ყოვლისა, მოწოდებულია მწერალთა კავშირი, ყველაზე მეტად სწორედ თანამედროვე დრამატურგის მუშაობისათვის არის აუცილებელი და ამ საქმის ორგანიზაცია არავითარ ობიექტურ დაბრკოლებასთან არ არის დაკავშირებული.

ქართულმა თეატრმა წმინდად უნდა დაიცვას და განამტკიცოს მთელი თავისი ისტორიის მანძილზე გამომუშავებული ძვირფასი ტრადიცია მშობლიური თუ თარგმნილი კლასიკურ პიესებისადმი ცხოველი შემოქმედებითი ინტერესისა. ამ მხრივ გასული თეატრალური სეზონის მეტად მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს რუსული კლასიკური დრამატურგიის, კერძოთ, ოსტროვსკის მემკვიდრეობის მთელ რიგ საუკეთესო ნიმუშთა დადგმა.

პირველ რიგში მხედველობაში გვაქვს რუსთაველის თეატრის სპექტაკლი „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება" და მარჯანიშვილის თეატრის დადგმა „უმზითვო", რომლებიც ქართულ საბჭოთა თეატრის საუკეთესო ნამუშევართა რიცხვს უნდა მიეკუთვნონ.

* * *

ფრიად მნიშვნელოვანი წარმატებებით აღინიშნა გასული თეატრალური სეზონი ქართული აქტიორული ხელოვნების სფეროში. შეუძლებელია ამ საკითხის აღძვრისას გვერდი ავუაროთ, თუმცა არა საანგარიშო სეზონში შექმნილს, მაგრამ ახალი ძალით განმეორებულ რუსთაველის თეატრის საუკეთესო წარმოდგენას—„ოტელოს", სადაც მთელი განუზომელი სიღრმით მჟღავნდება შესანიშნავი თანამედროვე ქართველი მსახიობის აკაკი ხორავას იშვიათი და ღრმა, თავისებური ნიჭი და შთაგონება. იგი დაუცხრომლად ამდიდრებს და სრულყოფს თავისი აქტიორული შემოქმედების ამ უმაღლეს მიღწევას და ყოველი ახალი გამოსვლით ახალ სიხარულსა და აღტაცებას ჰგვრის მაყურებელს. არის ჭეშმარიტად შექსპირულად ტიტანური და შექსპირულად ღრმად ადამიანური ოტელო-ხორავას სიყვარულშიც, ეჭვიანობაშიც, შურისძიებაშიც, სინანულშიც და მსახიობის უპირველესი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მის მიერ შექმნილი სახე მგზნებარედ ეხმაურება და აღერებს მაღალი ჰუმანიური იდეალებისათვის მებრძოლი საბჭოთა ადამიანის გულის სიმღერს.

მთელი თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფიისათვის დამახასიათებელი გულმოდგინებით და როლის ბუნების სწორი გააზრებით აგრძელებს აკაკი ვასაძე იაგოს რთული სულიერი სამყაროს გადმომცემ სცენიურ საშუალებათა შემდგომს გამძაფრებას და გაღრმავებას.

გასულ სეზონში „ოტელოს" განახლებული დადგმა ყურადღებას იპყრობს იმითაც, რომ ამ მძლავრ პარტნიორთა მიერ შექმნილ მაღალ აქტიორულ დონეს ახლა უფრო დაუახლოვდა დეზდემონას როლის შემსრულებელი მსახიობი ქალი ალექსანდრა თოიძე.

„ოტელოს" უკანასკნელ სპექტაკლებში იგი უკვე როლს გარეგნული პორტრეტის მოცემისა და ტექსტის დეკლარაციის ამოცანით კი აღარ განსაზღვრავს, არამედ იწყებს როლის შინაგანი ბუნებით ცხოვრებას სცენაზე და საგრძნობლად მიიწევს წინ მსოფლიო დრამატურგიის ამ ერთ-ერთი საუკეთესო როლის ღირსეულად შესრულების გზაზე.

საანგარიშო სეზონის განმავლობაში დიდი შემოქმედებითი მუშაობა ჩაატარა აკაკი ვასაძემ, როგორც ქართული სცენის პირველხარისხოვანმა მსახიობთაგანმა. მის მიერ შექმნილი კრუტიცკის სახე ოსტროვსკის კომედიაში „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება" მსახიობის ღრმა ქმედითი ინიციატივის, სადა ფანტაზიის და მაღალი ოსტატობის იშვიათი ნაყოფი; კარლო კალაძის „ერთი ღამის კომედიაში"

(დასასრული იხ. მე-4 გვ.)

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმი

# ქართული საბჭოთა ლიტერატურა 1944—45 წ.

(დასასრული)

— თუ ზოგი ჩვენი მწერალი,—აღნიშნა **ალ. ჭეიშვილმა**,—მთელი თავისი შესაძლებლობით ვერ მუშაობს, ამის მიზეზი რამდენადმე ჩვენი კავშირის ხელმძღვანელობაც არის. პრეზიდიუმი ყოველთვის როდი არის იმის კურსში, თუ ვინ რას აკეთებს, ვინ რაზედ მუშაობს და რა აფერხებს ამ მუშაობას. თუ მწერალს დიდი შემოქმედებითი პაუზები აქვს, პრეზიდიუმმა დაუყოვნებლივ უნდა გამოარკვიოს ამის მიზეზები და მიიღოს ზომები, რომ ის თავის პირდაპირ საქმეს და მოწოდებას დაუბრუნდეს.

სიმონ ჩიქოვანმა,—სთქვა **ა. ლომიძემ**,—ზოგიერთი მწერალი არასწორად შეაფასა. მაგალითად, გ. გაბესკირია ერთ-ერთი იმ პოეტთაგანია, რომელსაც აქვს თავისი საკუთარი ხმა, საკუთარი თვალი, მხატვრული დეტალის მიგნების შესანიშნავი ნიჭი, ერთი შტრიხის გავლებით მთელი სურათისა და განწყობილების მოცემის უნარი. მომხსენებლს უნდა გაერჩია აგრეთვე ა. გაწერელიას მოთხრობებიც, რადგან მისი სახით ქართულ ლიტერატურას მეტად სერიოზული ძალა შეემატა. შემდეგ ორატორი შეეხო გ. ნატროშვილის ნოველებს და სთქვა, რომ გ. ნატროშვილის პროზა, განსაკუთრებით მისი „ქართველი ჯარისკაცი" და „ბავშვი", ამჟღავნებს ავტორის მიერ ცხოვრების ღრმა ცოდნას და მხატვრული სიმართლის გრძნობას.

...

ყურადღებას ვაქცევდე დეტალებს. როგორც მაქსიმ რილსკის მასთვის მართებულად უპასუხნია, დეტალებზე ჩემზე უფრო ხანგრძლივად აჩერებს მკითხველის ყურადღებას ფლობერი. მაგრამ ეს არ არის მხატვრის ნაკლი. მე დავსძენდი: ლ. ნ. ტოლსტოი მთელს პასაჟებს ანდომებს დეტალებსა და აქსესუარებს. ჩემთვის გაუგებარია ნ. ტიხონოვის საყვედური იმის გამო, რომ მე უხვად ვხმარობ ფერებს, რომ ხშირად ადამიანებს ავწერ ჭამის დროს და ჩამოვთვლი ნაირნაირ საჭმელებს. ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, რომ რუსეთის და ცენტრალური ევროპის მხატვრები და მწერლები უპირატესად ხმარობენ ამ კარდინალურ ფერს, ხოლო სამხრეთ ევროპის, სამხრეთ აზიის და აღმოსავლეთის მწერალმხატვარნი უამრავ ფერადებს იშველიებენ თავიანთი ქვეყნების ცხოვრებას და მრავალფეროვანი ბუნების გამოსახატავად. საკმარისია მოვიგონოთ ესპანელი, იტალიელი, ირანელი და ჩინელი მხატვრები. ბოლოს, პუშკინი, ლერმონტოვი და ლ. ნ. ტოლსტოი ამავე გზას ადგანან, როცა კავკასიის ბუნებას ხატავენ. რაც შეეხება ჭამის, ტრაპეზობის პროცესის ხელოვნებაში გადმოცემას, დიდი ოსტატები ხშირად ჭამის დროს ხატავენ ადამიანებს. საჭმელები ხალხის კულტურის ერთ-ერთი შესატყვისია.

კ. გამსახურდია უარყოფს თითქოს „დიდოსტატის მარჯვენაში" წარმართობის აპოლო-...

...

**გამსახურდიამ**, — თავის მოხსენებით კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა, რომ ის არის არა მარტო შესანიშნავი პოეტი, არამედ ფრიად მძაფრი ანალიტიური ნიჭის პატრონი. აღსანიშნავია ის ჰაეროვანი და თავისებური პოზაცია, რომელიც მას ეჭირა მწერალთა საკავშირო პლენუმზე. ზემოხსენებულ პლენუმზე ნ. ტიხონოვმა აღნიშნა, თითქოს მე მომეტებულ

...

უქონლობა ნაწარმოებს მხატვრული ქმნილებების კატეგორიის გარეთ აყენებს. პროზაში ასეთი მინიმუმია ნიჭი ადამიანის დანახვისა, ფსიქოლოგიური და სკულპტურული გამოკვეთისა. არავითარ სხვა ღირსებას ამ ძირითადი მინიმუმის ხარჯზე არ შეუძლია პროზაული ნაწარმოები ბელეტრისტულ ხელოვნების ნამდვილ ნაწარმოებად აქციოს. სამწუხა-

...



„ძველი ქართლისას" ილუსტრაცია.
ნახ. **ნინო ფოფხაძისა.**

## დავით სულიაშვილის საღამო სურამში

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირისა და ხაშურის პარტრაიკომის თაოსნობით 25 აგვისტოს სურამში გაიმართა მწერალ დავით სულიაშვილის შემოქმედების საღამო.

საღამო გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) ხა-...

...

ნი შრომა, რამდენი საუცხოო რამ გააკეთა. ჩვენ მუდამ გვაკვირვებდა მისი შრომის უნარიანობა და კეთილსინდისიერება; არ შეიძლებოდა მასთან ყოფნა ულიტერატუროდ. იგი მუდამ მწერლობის ინტერესებით ცხოვრობდა. მან თავისი ფეხით მოიარა გრემი და მუხრანი, იცხოვრა იქ, რათა შეხორცებოდა იმ გარემოს, იმ პეიზაჟს, სადაც მისი ისტორიული რომანის — „ქეთევანის" გმირს უცხოვრია; იგი ქალური კეთილშობილი ზედმიწევნილობით სწავლობდა თუ როგორი ფლორა ხარობდა მუხრანში ან ისფაჰანში, სწავლობდა ტანისამოსს, იარაღებს, ეტიკეტსა და ყველა აქსესუარს თავის რომანისა. აბა, გადაიკითხეთ ის ფრაგმენტები რომანისა, რომლებიც მან დაბეჭდა. ქართულ მწერლობაში მას პირველს შემოჰქონდა ნამდვილი ქალური ეშხი, სირბილე და ხედვა საგნებისა, ქალური ჭვრეტა სამყაროსი, რომელიც ჩვენ ასე გვხიბლავდა მის ნაწარმოებთა კითხვის დროს. მისი რომანის თავები ჩვენ მოგვაგონებს ხელსაქმეს, სადაც

...

## ქეთევან ირემაძის დაკრძალვა

23 აგვისტოს დაასაფლავეს უდროოდ გარდაცვლილი მწერალი ქალი **ქეთევან ირემაძე**. განსვენებულის ბინაზე შეიკრიბა მრავალრიცხოვანი საზოგადოება — ნათესავები, მახლობლები, მეგობრები, მწერლები, მუსიკოსები, მხატვრები, მსახიობები, მეცნიერები, სტუდენტები, მოსწავლეები და სხვ.

დღის 5 საათზე დაიწყო სამოქალაქო პანაშვიდი. პანაშვიდის დასრულებისას დამკრძალავი კომისიის სახელით სიტყვა წარმოსთქვა მწერალმა დ. შენგელაიამ. მან სთქვა:

...

ვაზიანი, შენ, რჩეულ ქართველ ქალთა მორის, იყავი საამაყო წევრი ჩვენი რიგებისა. შენი ორიგინალური ნაშრომები, შენი თარგმნები დიდი შენაძენია ქართული მწერლობისათვის, მისი გამამდიდრებელია, და მით უფრო გვტკივა გული, რომ ამდენის გამკეთებელი ასეთ მცირე ხანში, რაღაც ათიოდე წელში, კიდევ რამდენს იშრომებდი ჩვენი მწერლობის სასახელოდ, მაგრამ უდროოდ გაგვშორდი. საფლავის მაგივრად შენ მკერდში ჩაგიკრავენ ის ქართველი დედები, რომელთა სახელის გამომზეურებას ამდენი შრომა შესწირე. სიკვდილმა დაგვაჭკნო, მაგრამ ჩვენს გულში მუდამ დაუჭკნობი დარჩები, არასოდეს არ დავკარგავთ ჩვენს ხსოვნაში შენს მხიარულ ახალგაზრდულ ბრწყინვალე სახეს; არ დავკარგავთ შენი პატარა, ნაზი თითების ნამუშევარს და ნაამაგარს, იგი მუდამ ჩვენი თაობის მწერლობის დამამშვენებელი იქნება. ქართველი მწერლობის ოჯახი, შენი დიდი ოჯახი, რომლის წიაღიდა-...

...

წეთა პანთეონში, სადაც დაკრძალული იქნა ქეთევან ირემაძე, სიტყვა წარმოსთქვა პოეტმა-აკადემიკოსმა გიორგი ლეონიძემ, ლექსი—პოეტმა სანდრო ეულმა. ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, პოეტმა სანდრო შანშიაშვილმა წაიკითხა სამძიმრის დეპეშები.

„ვის არ ენანება, ... ასეთი ახალგაზრდა და მშვენიერი, ასე უდროო სიკვდილისათვის, — დაიწყო თავისი სიტყვა გ ლეონიძემ, — შენ უფლება გქონდა დიდხანს გეცოცხლა, დიდხანს გეხარა. ნი-...

...

ტაძეს, კონსტ. გამსახურდიას, ს. ჩიქოვანს, გ. ლეონიძეს, ა. მაშაშვილს, ს. შანშიაშვილს, ა. გაწერელიას, ს. ეულს, გ. ჯიბლაძეს, ი. ლისაშვილს, დ. სულიაშვილს, ლ. ქიაჩელს, ა. თავაძეს, ი. იმედაშვილს, ხ. ვარდოშვილს. ა. ქუთათელს, დავ. ქუთათელაძეს, კ. ბობოხიძეს და სხვებს.

ვერის ახალ სასაფლაოზე, ქართველ მოღვა-...

...

ლალმთიანი სალაშქრო ბანაკის მონაწილეთა ჯგუფისაგან, მწერლების ნინო ნაკაშიძისაგან, მაყვალა მრევლიშვილისაგან, გრ. ცეცხლაძისაგან, ალექსანდრე აბაშელისაგან, კარლო კალაძისაგან, კონსტ. ჭიჭინაძისაგან, გიორგი მდივნისაგან, ალექსანდრე გომიაშვილისაგან, ლევან ასათიანისაგან, ვიქტორ გაბესკირიასაგან.

## რაიონული თეატრები ახალი სეზონის წინ

### ჭიათურის თეატრი

ჭიათურის თეატრმა მუშაობა დაიწყო 1 სექტემბერს. სეზონი გაიხსნება სექტემბრის ბოლო რიცხვებში.

თეატრს სეზონის პირველი ნახევრის რეპერტუარში შეტანილი აქვს: ს. შანშიაშვილის „ხევისბერი გოჩა" (...

...

განახლებული იქნება დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი", გრ. ბერძენიშვილის „ტირიფის ქვეშ", ა. სუმბათაშვილის „ღალატი", მ. ჯაფარიძის „ყამთაბერის ასული" და ნ. შიუკაშვილის „სულელი".

...

### ლანჩხუთის თეატრი

...

### მესხეთის ქართული თეატრი

...

### წულუკიძის თეატრი

...

### სახვითი ხელოვნების საკავშირო გამოფენა

...

### „საგანგებო კომისარი"

...

ოპერის მთავარ თემად აღებულია საბჭოთა ... ხალხების ... პარტიის როლი საუკუნეების მანძილზე ერთმანეთისაგან გათიშული ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების გაერთიანების საქმეში. სიუჟეტი აგებულია იმ მოვლენებზე, რომელთაც ადგილი ჰქონდა 1919 წელს.

...

## თეატრალური სეზონის შედეგებისათვის

(დასასრული)

აკაკი ვასაძემ დათუნას როლის შესრულებით, პირდაპირ უნდა ითქვას, გადასწყვიტა სპექტაკლის ბედი და უზრუნველყო მისი წარმატება მაყურებელთა შორის.

ეს ორი სცენიური სახე მეტად მნიშვნელოვანი შენაძენია როგორც აკაკი ვასაძის სამსახიობო ბიოგრაფიისათვის, ისე მთელი თანამედროვე ქართული აქტიორული სკოლი-...

...

როლია ბოლომდე დამუშავებული და მაღალმხატვრულად განსახიერებული, იგრძნობა ყოვლადმოუთმენელი დისტანცია ამ ცალკეულ როლსა და შემსრულებელთა მთელი დანარჩენი მასის შორის.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი; მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლ „უმზითვოში" ისეთი მნიშვნელოვანი როლები, როგორიცაა ...

...

არამც თუ სათანადოდ ღრმა შეფასება სეზონის განმავლობაში ქართულ სცენაზე ნიჭიერად შესრულებული ყველა როლისა. დასახელებული ფაქტებიც ნათლად გვიჩვენებენ, რომ განვლილი სეზონის მანძილზე დიდი მუშაობა ჩატარდა აქტიორული ოსტატობის განვითარებისათვის ქართულ თეატრში.

მაგრამ, ამასთანავე, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჩვენი საუკეთესო თეატრებიც კი თითქოს თანდათანობით ჰკარგავენ ანსამბლის გრძნობას აქტიორულ შესრულებში საკითხში. თითქმის ყოველ დადგმაში ორი სამი

...

მსახიობის მხრივ მეტად თავისუფალ ... ღებულების შემთხვევებს ამის მაგალითს წარმოადგენს განვლილ სეზონში აკაკი ხორავას მიერ შესრულებული როლი ეგორ გლუმოვისა ოსტროვსკის პიესაში „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება".

ჩვენმა თეატრალურმა კრიტიკამ ერთსულოვნად აღნიშნა აკაკი ხორავას მაღალი ოსტატობა ამ როლის შესრულებაში. მაგრამ არ შეიძლება უგულვებელვყოთ ის გარემოება, რომ მსახიობმა მოგვცა როლის სრულიად საწინააღმდეგო გაგება იმასთან შედარებით,

...

ძის „ზოგჯერ ბრძენიც შეცდება" და ს. შანშიაშვილის „ხევისბერი გოჩა".

„ფიქრის გორაში" ყურადღებას იპყრობს რეჟისორის მიერ სპექტაკლის წინა პლანზე პირისპირ გამოხატული ღრმა ადამიანური დრამის წამოწევის მისწრაფება. დ. ალექსიძის ნამუშევარში მოწონებას იმსახურებს მიზანსცენათა მწყობრი და გონივრულად მოფიქრებული დამუშავება, ეპოქის გარემოცვის მკაფიოდ გადმოცემა სცენაზე და მომქმედთა უმრავლესობის ხასიათის სწორი გახსნა. ხოლო „ხე-...

...

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახალი სეზონის მანძილზე ჩვენი თეატრები გააღრმავებენ მოპოვებულ მიღწევებს და იბრძოლებენ შემჩნეულ ნაკლოვანებათა დაძლევისათვის.

ამ საქმეში თეატრს დიდი დახმარება უნდა გაუწიოს ფხიზელმა და კრიტიკულმა საზოგადოებრივმა აზრმა. ამ მხრივ მეტად საყურადღებო მოვლენად უნდა ჩაითვალოს საქართველოს თეატრალური საზოგადოების შექმნა, რომელიც უახლოეს მომავალში დაიწყებს მუშაობას.

...

კომპოზიტორმა ... ოპერა „საგანგებო კომისარი". ოპერა მიძღვნილია დიდი **სტალინის** ერთგული თანამებრძოლისა და შეუდრეკელი ბოლშევიკის—**სერგო ორჯონიკიძისადმი.**

**სარედაქციო კოლეგია:**
**ო. იზაძე, გ. ნატროშვილი** (პ.-მგ. რედაქტორი), **შ. რადიანი, გ. ქიქოძე, ს. ჩიქოვანი, ვ. წულუკიძე, მ. ჭიაურელი.**

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, მაჩაბლის ქუჩა, № 13. ტელეფონი 3-47-10. **გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი".**

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. უე 01757